

იდენტობის როლი ინსტიტუტების ფორმირებაზე გარდამავალ
პერიოდში

სტუდენტი: ნათია ზოიძე

*ნაშრომი წარდგენილია ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების საერთაშორისო ურთიერთობების
პროგრამისთვის მაგისტრის ხარისხის მისანიჭებლად*

სამეცნიერო ხარისხის ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არა რის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ზოიძე

ნ. ზოიძე

26.06.2017

აბსტრაქტი

არსებული რეალობიდან გამომდინარე, მაშინ როცა საქართველო დემოკრატიულ გზას ადგას, საინტერესოა ინსტიტუციური რეფორმის შესწავლა გარდამავალ პერიოდში. ანალიზი იმის თუ რა მდგომარეობაა სხვაგან. მითუმეტეს რომ ჩვენც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების რიცხვს ვეკუთვნით. წინამდებარე ნაშრომი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განვითარებული მოვლენების ანალიზს ეხება. უფრო კონკრეტულად კი, შეისწავლის კომუნისტური რეჟიმიდან ინსტიტუციონალურ რეფორმას, დემოკრატიულ-ლიბერალურ მმართველობაზე გადასვლის სირთულეებს იდენტობასთან კავშირში. საბჭოთა კავშირის რეჟიმი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში, მისთვის დამახასიათებელი კომუნისტური რეჟიმის გატარებით ცდილობდა საბჭოური იდენტობის გაძლიერებას მთელს საბჭოთა კავშირში. თუმცა მისი დაშლის შემდეგ განვითარებული მოვლენები ცხად ყოფს, იდენტობის სიძლიერეს, არა მხოლოდ მის შენარჩუნებაში გამოხატულს, არამედ გარდამავალ პერიოდში არსებული ინსტიტუციონალური რეფორმის გავლენით. კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი კვლევა, სხვადასხვა სტატიების, კვლევების, case study ანალიზი, რაც საშუალებას გვაძლევს ნათლად დავინახოთ არსებულ მდომარეობა და განვითარებული მოვლენები. აქვე ძალიან მნიშვნელოვანია, წარმოებული ინტერვიუები თემის ირგვლივ რაც გვაძლევს საღი დასკვნის გაკეთების საშუალებას. იმდენად რამდენადაც გამოკითხული რესპოდენტები შერჩეულნი არიან პოფესიონალიზმით, მათი წარსული თუ ახლანდელი, როგორც სოციალური ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკური სტატუსიდან გამომდინარე. კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ რომ სწორედ რომ იდენტობაზეა დამოკიდებული ინსტიტუტების ფორმირება, გარდამავალ პერიოდში. უფრო კონკრეტულად, საყურადღებოა იდენტობის ისეთი კატეგორია როგორსაც ელიტური კლასი წარმოადგენს, რომელთა ხელშიც რეალური ძალაა თავმოყრილი. ამასთან ინსტიტუციურ რეფორმის გატარებამდე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მზაობის ანალიზი, სულ მცირე საფუძველის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: კულტურა, იდენტობა, ინსტიტუტები, რეფორმა, ელიტური კლასი, საბჭოთა კავშირი, გარდამავალი პერიოდი, დემოკრატია.

Abstract

Due to the current reality, while Georgia is on the path of democracy, it is interesting to study institutional reforms in the transition period and analyze the situation elsewhere. Moreover, when we too belong to the number of post-Soviet countries. This thesis refers to the analysis of the developed events after the dissolution of the Soviet Union. More specifically, it studies the difficulties of institutional reform under the influence of identity, from the communist regime to the transition to liberal-democratic governance. The Soviet Union, during all its existence time, was trying to strengthen its Soviet identity in the Soviet Union countries through his typical regime.

However, the events developed after its' dismantling, makes it clear that the strength of the identity reflected not only in its preservation, but also in the institutional reforms of transitional period. The study uses qualitative research, analysis of various articles, researches and case study, which allows us to see clearly the current situation and developed events.

Interviews produced around the topic, which gives us the opportunity to make a common conclusion is also very important, as far as the respondents are chosen professionally for the interview, based on both, their past and present social and political-economic status. Based on research we can clearly state that the formation of the institutions in the transition period depends on the identities. More specifically, the category of identification such as an elite class is worthy of attention, it has a real power in its hands. Furthermore, public awareness analysis is important before the implementation of the institutional reform, it is important to create at least the basis.

Key words: culture, identity, institutions, reform, elite class, Soviet Union, transition period, democracy.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ფავლენიშვილს. რომელმაც ფასდაუდებელი შრომა ჩადო იმისთვის, რომ ნაშრომი სამაგისტრო ფორმატისათვის შესაბამისი ყოფილიყო, დამეხმარა მასალების მოძიებასა და ნაშრომის სწორ ფორმირებაში. აგრეთვე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ რესპოდენტს რომლებმაც დრო გამონახეს და მონაწილეობა მიიღეს, კვლევის იმ სახეობაში როგორც არის ინტერვიუ. საუბარი მაქვს ისეთ პროფესორებზე, ისტორიკოსებზე, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებზე როგორებიც არიან: გიორგი გვალია, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ირაკლი ლაითაზე, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი ქადაგიძე, გიორგი სანიკიძე, დიმიტრი ჯაფარიძე, Ronald S. Mangum.